სამახსოვრო ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრისთვის

(განკუთვნილია ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გამოყენებით კენჭისყრის ჩასატარებლად)

ამომრჩეველის რეგისტრაციის მიზნით:

- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პა¬სპორტი.
- შეამოწმეთ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათის ერთმანეთთან შესაბამისობა.
- საქართველოს მოქალაქის ელექტრონული პირადობის მოწმობა (ID ბარათი) გაატარეთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში.
- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი ამომრჩევლის მიერ წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებს ადარებს აღნიშნულ აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს და მონაცემების შესაბამისობის შემთხვევაში, აპარატს ეკრანზე გამოაქვს ამ ამომრჩევლის მონაცემები.

ყურადღება!

- ✔ თუ ამომრჩეველი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქის არაელექტრონულ პირადობის მოწმობას, ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, ამომრჩევლის მონაცემების ძებნა აპარატში განახორციელეთ ხელით.
- ✔ თუ ამომრჩევლის სახეს და წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნევთ, აღნიშნული შეუსაბამობის დადასტურების თაობაზე მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს და დაელოდეთ მის მითითებებს. თუ კომისიის თავმჯდომარე შეუსაბამობას არ დაადასტურებს, უფლება გაქვთ, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მიუთითოთ თქვენი განსაკუთრებული აზრი, რასაც კომისიის მდივანთან ერთად ამოწმებთ ხელმოწერით. წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათთან ამომრჩევლის სახის შეუსაბამოდ მიჩნევის მიუხედავად, ამომრჩეველი იღებს მონაწილეობს კენჭისყრაში.
- ✔ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, ან სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში, მას საარჩევნო უბანში აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.
- ✔ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებულ ამომრჩეველს უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული კენჭისყრაში, მას აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.
- ✔ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩევლის მონაცემები არ იძებნება, მას აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.

- ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, ამომრჩეველს გაუკეთეთ მარკირება მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე, თუ აღნიშნული მოქმედების შესრულება შეუძლებელია - მარჯვენა ხელის სხვა თითებზე, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, იმავე წესით მარცხენა ხელზე.

ყურადღება!

- ✔ თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირებაზე, მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი.
- ✔ ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობის“ გამო), არ გადის მარკირების პროცედურას.

- მარკირების პროცედურის განხორციელების შემდეგ, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდეთ ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარი, რომელზეც ხელს აწერს ამომრჩეველი. აღნიშნულ ქვითარი მოათავსეთ სარეგისტრაციო მაგიდაზე განთავსებულ გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში.



ყურადღება!

- ✔ თუ ვერიფიკაციის აპარატიდან არ ამოიბეჭდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი, ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნით, მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს. ამომრჩეველს ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად ხელი მოაწერინეთ შესაბამის აქტზე, რომელიც უნდა მოათავსოთ ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრებისთვის განკუთვნილ გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში.
- ✔ თუ კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“), ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ამომრჩევლის ხელმოწერის ადგილას გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნულ ჩანაწერი დაადასტურეთ ხელმოწერით.

- ვერიფიკაციის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამომრჩეველს გადაეცით საარჩევნო ბიულეტენი, ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალური ჩარჩო-კონვერტი და განუმარტეთ მისი გამოყენებისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი „ფარული კენჭისყრის კაბინაში ბიულეტენზე სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის წინ არსებული წრე. ამოაბრუნეთ ბიულეტენი, მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში თქვენი არჩევანის ფარულობის უზრუნველსაყოფად”

ყურადღება!

ამომრჩეველს ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალური მარკერის გამოყენებით გააფერადებინეთ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებული საცდელი წრე.

- მიუთითეთ ამომრჩეველს, შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ამომრჩეველთა ერთ-ერთი რეგისტრატორი მისთვის გადაცემული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან, 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათზე, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ბეჭდავს ანგარიშს.